საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/140

17 ივნისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ლევან სამსონიას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (ოქმი №22-20/11, 14.06.2022), ლევან სამსონიას დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ 2017 წლის 14 სექტემბრის № 01-09/513 ბრძანების, ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/49 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის 2022 წლის 17 ივნისის სამსახურებრივი ბარათის-MES 6 22 0000664579 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **,,ისტორიის"** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ლევან სამსონიას** სადისერტაციო ნაშრომის **„საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აჭარაში XX საუკუნის 30-იან წლებში"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 15 ივლისს, 15:00 საათზე, №37 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N1, მე-2 სართული).
2. დამტკიცდეს „ისტორიის" დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1) ოთარ გოგოლიშვილი - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
   2) მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის მდივანი);
   3) ნუგზარ მგელაძე - ბსუ-ს პროფესორი;
   4) ირაკლი ბარამიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

5) რევაზ დიასამიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
6) ნუგზარ ზოსიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
7) ხათუნა დიასამიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
8) უჩა ოქროპირიძე- ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
9) ოლეგ ჯიბაშვილი, ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფესორი მ. კიკვაძე).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში